C71-15
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუბიკონი

კვირეული ორგანო

სრულ ად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირი

№ 12

მისამართი; ტფილისი ხელოვნების სასახლე სერგ. ქ. № 13 ტელ. 17—51

ფასი 150 ათასი მან,

კვირას 31 ივნისი 1923 წ.

კანტორა—პუშკინის პასსაჟი ტელ. № 4—08

სანდრო ცირეკიძე

სანდრო ცირეკიძე იყო სანთელი. არა ფიგურალური: სანთელი ანთებული ხის საჯვარეში უცნობი ხელით. სიგრძლე, სიმარტივე, იდუმალება ირგვლივ: როგორც სამარეში. მე არ მქონია მასთან პერსონალური კავშირი. ყოველთვის სხვებთან მხვდებოდა. არც მახსოვს მისი ხმა. იყო მორცხვი და მორიდებული. არა მგონია დამლაპარაკებოდა მარტო რომ მენახა: იქნებოდა უთუოდ უხმო ლანდივით. ყოველი „მიკარება“ მისთვის ალბათ „შელახვა“ იყო უპირველესის და უნამდვილესის. ასეთი სულები დუმილს ირჩევენ. ისინი რჩებიან „გამოუთქმელნი“.

სანდრო ცირეკიძის შემოქმედება იყო ფარდის შერხევა, რომლის იქით იმალება „გამოუთქმელი“. მას არ ჰქონდა ბარბაროსული დაჯერება; რომ „თქმა“ გადმოსცემს უკლებელ „განცდას“. ამ მხრით იგი რომანტიკოსი დარჩა უჩვეულო. თვითონ არჩევა მინიატიურის ამას გულისხმობს. წმინდა ფორმა ლექსის თხოულობს დიდ რწმენას, რომ „სული“ არ მოკვდება „გამოთქმულში“. პროზის ფართო ფორმა თხოულობს გამწყვეტ ნებას გამოთქმისათვის. სანდრო ცირეკიძეს არ ჰქონია არც ეს „რწმენა“ და არც ეს „ნება“. ამისათვის მის შემოქმედებაში არ არის არც წმინდა ფორმა ლექსური თქმის და არც ზღვარგარღვეული ფორმა დიდი პროზის, საკვირველი არ არის, თუ იგი ბოლო დროს ერთად ერთ სინამდვილედ შემოქმედებაში მარტო „სათაურებს მიიჩნევდა.

მიუხედავად იმისა, რომ მისი კლასიფიკაცია არის ასე საძნელო, მისი ხელშეხება ფარდის მაინც მომგვრელია მაღალი სინამდვილის გონების. აქ სანთელთან ერთად, რომელიც იწვის თავისათვის, არის საკმეველის სურნელებაც. ეს სურნელია უმთავრესი სანდრო ცირეკიძის შემოქმედებაში.

მას აქვს მომაჯადოებელი თხრობა. გიჟი მთვარიან ღამეში კრებს მთვარის შუქებს ღა ასანთის კოლოფში აგროვებს. მიდის სახლში და სიფხიზლე მას კოლოფში მხოლოდ ნამწვავებს უჩვენებს. სანდრო ცირეკიძე სწორედ ეს მთვარეულია, მომაჯადოებელია მისი ლანდური ხიდვა, მით უფრო, რომ სიფხიზლე „ყოველი დღის“ მას ანგრევს,

გრიგოლ რიხაძე.

სანდრო ცირეკიძე

სევდით ივსება გული სანდროს დაკარგვით. მისი ასე უდროოთ სამუდამო გაჩერებით. დიდი დანაკარგია იგი ქართული ახალი ლიტერატურისათვის. ის იყო განსხვავებული მოვლენა ქართულ ლიტერატურაში, თავისებური, ფაქიზი, ლამაზი და საიმედო. მისი პროზა განსხვავებულია. ქართულ პროზას ამ ახლო ხანებში შესძინა სიტყვის, ფორმის საუცხოო შემომქმედნი, მაგრამ სანდრო ცირეკიძე მათ შორის განსაკუთრებული სახეიერებაა. მუსიკალობა მისი პროზის პირდაპირ გასაოცარია და ამის მიღწევა შესძლო ახალგაზრდა, ყმაწვილმა მწერალმა. მისგან ბევრს მოველოდი და ეს მოლოდინი უსათუოდ გამართლებული იქნებოდა რადგან მას თავდავიწყებამდინ უყვარდა თავისი მწერლობა, უყვარდა შრომა, თვით მშვენიერი, ნაზი ღიმილით სახებით, იგი უნებლიეთ გიზიდავდა მის მცნობას და გხიბლავდა ამ სინაზით და სილამაზით, რაც აგრეთვე უხვად შექონდა ყოველ თავის ნაწარმოებში. ეს იყო მიზეზი რომ მისი მინიატურების განსაკუთრებულ ყურადღებით ეტანება მკითხველი და არჩევს სხვებისგან. მე ყოველთვის მხიბლავდა იგი თავის განსაკუთრებული ნიჭით და მისი უდროო სიკვდილი უღვთოობა კი არა, ნამდვილი შეუბრალებლობა ქართული ლიტერატურისათვის.

დავ. კლდიაშვილი.

სანდროს ხსოვნისათვის

ცხოვრებაში არ არის ხშირი მოვლენა რომ ერთი და იგივე პიროვნება, უკეთუ იგი ხელოვანია, მომხიბლველი იყოს, როგორც ადამიანი და როგორც ხელოვანი.

სანდრო ცირეკიძე უწინარეს ყოვლისა ამ ორ მხრივ იყო მომხიბლველი.

ნაზი ადამიანი და უნაზესი მწერალი.

იმდენათ უნაზესი მწერალი, რომ პროზის უფრო მახვილ მეტყველებისათვის კინაღამ არ არჩია მისი მდუმარება.

იგი მიაგავდა ულრან ტყეში ამოსულს, მაღალ ყლორტებიან ფერმიხდილ მცენარეს, უბრალოც რომ აათრთოლებს ხოლმე.

ამიტომ იყო ნამდვილი მინიატიურისტი ამ სიტყვის უზენაეს მნიშვნელობით.

იგი უფრთხოდა დიდ ქვებს, დიდ მარმალილოს, დიდ ბრინჯაოს გამოსაკეთად, მაგრამ მისი სევდიანი რევადო კეთილშობილ გიშერზე ოსტატურად ამოჭრილი, მისი კაეშნიანი ზარნიში მოელვარე ოქროზე მიმოვლებული, ქარვა და მარგალიტი და სხვა პატარა ლითონები ქალწულებად ჩამორიგებულნი მის ჩუქურთმებში იყო დიდი ნახელოვნევი, იყო ამ ნაზ ჰურჰლის ჰაეროვანი წართქმა.

მე მგონია სანდრო ჰგავდა იმ შეყვარებულს, თავის გულის საყვარელს რომ განგება გაურბის, რათა მეტის სიმახვილით განიცადოს ქალწულის სიყვარული.

უყვარდა სიტყვა ისე, როგორც მგონი არავის და ამ სიტყვას კი გაუბროდა. მაინც და მაინც ძუნწად ეარშიყებოდა...

სხვა ამ ჟამად, ამ ცხელ გულზე რაღა მეთქმის რადგან მეორე მოხიბლველი მხარე სანდროსი უფრო მიპყრობს ეხლა, რადგან მისი სახით მეც დავკარგე ერთი უნაზესი მეგობარი ჩემი სულისა.

აღელვებულს კი სიტყვები არ მომდის.

შალვა დადიანი.

სანდრო ცირეკიძე

პაოლო იაშვილს თითქო საბედისწეროდ მოგონდა პუშკინის 21 ოქტომბრის თარგმნა. ჩვენ ორდენსაც მოადგა ენესტიკულიაციით ტუბერკულიოზი და სანდრო ცირეკიძის საფლავი—მესამეა ამ ერთ წელიწადში. ეს მედიდური და სასტიკი სენი იწყებს ბავშებიდან, მე სანდრო ცირეკიძეც ბავშად მეჩვენება, ეს ალბად მისი სინაზის ბრალია, ნამდვილად კი სანდრო ცირეკიძემ მოათავა შეგნებითეცხოვრება და მისი. ანალიზის მორიელი თავის თავს დაუბრუნდა საკბენად. მისიფორმულა „მარტო სათაურების“—და მისი გამოწურვა პროზის მარტო ერთი აყენებს საკითხს სანდრო ცირეკიძის ერთად ერთობისას ქართულ ახალ მწერლობაში. მე ვათვალიერებ სანდრო ცირეკიძის დარჩენილ ხელნაწერს და მიკვირს რომ ჩვენ მშფოთვარე დროს შეიძლება კიდევ იყოს სიტყვის ასეთი მებრძოლი და თავგამეტებითი ოსტატი- სანდრო ცირეკიძე გაჯერებთ რომ არ არის ლეგენდა ქართული მოზაიკა, ქართული მთაწმინდელები. და ქართველი გადამწერლები. გასაოცარია, რომ ბავში, რომელსაც ყოველ [illegible] სიღარიბეში ყველაფერს იმეტებდა მწერლობისათვის და გამოცემისთვის, ამიტომ მისი სიკვდილს „ცისფერი ყანწების“ ორგანიზატორული მარჯვენის ჩამოტეხაა. ალბად ეს იყო მიზეზი, რომ ყველაზე უფრო მწვავეთ მისი სიკვდილი „ყანწების“ დამაარსებელმა პაოლო იაშვილმა იგრძნო და მან ერთმა გადაიტანა მთელი სიმძიმე ძმის დასაფლავების, როცა—პირდაპირ ტანჯვას უერთდება ლაფორგის არ იყოს „საანგარიშო წიგნში ორი პანაშვიდის შეტანა“. და სხვა კიდევ ჩვენი პროფესიისთვის უბრხული პროზა.

იყო დრო, როცა ქუთაისი ამ ხუთი წლის წინ ტფილისს ამეტებდა გამოცემებით. სანდრო ცირეკიძემ ვალერიან გაფრინდაშვილთან ერთად გამოსცა ის რაც აქამდე „ყანწებს“ მოუცია, უფრო ასანიშნავია რომ სტეფან მალარმე, თვით საფრანგეთშიც შეტანილი ბუნდოვან ავტორებში, რუსეთშიც არ არის ჯერ წიგნად გამოცემული და სანდრო ცირეკიძემ ეს ქუთაისში მოახერხა. და ამასთან მიმატება იმისიც, როგორი პასუხის გებათ ეკიდებოდა ის ამ საქმეს. პირველი ლექსების წიგნი ევროპიული სტილოთ შეჰქმნა სანდრო-ცირეკიძემ, მანამდე ლექსების წიგნს ვერავინ გაარჩევდა აგრარულ საკითხის ბროშურებიდან. მე თვითონ ვიყავი მოწამე, როგორ გაისწორა მან საკუთარ ხელით გრიგოლ რობაქიძის ლექსში „პანი“, რომელიც იბეჭდებოდა მის ანტოლოგიაში ერთი შეცდომა ათასს ეკზემპლიარში. მაგრამ ყველაფერი ეს არის ზედმეტი, ყველაფერი ეს მეჩვენება არარაობად იმ მისტერიასთან რომელსაც ჰქვია ჩვენი ორდენის მარილა ხორციელი ძმის დაკარგვა. და მე ყველა „ყანწელებთან ერთად ვსწუხვარ, რომ სანდრო ცირეკიძე ვერ დაესტერებზე უკანასკნელ ძლევისას... რომ მან თან ჩაიტანა საფლავში ჩვენი უიმედობა. და ვერ იგრძნობს ჩვენ მომავალ იერიშებს და თავისუფლად შემოქმედების ექსტაზსს... მაგრამ ამაყი ფრანგი პოეტის თქმაა: „სიგიჟეა შებრალება პოეტის, რომელსაც ერთხელ მაინც სწვავდა შემოქმედების ცეცხლი“...

სანდრო-ცირეკიძე სწორეთ შემოქმედებას ცეცხლში გადაიდნო და დაიწვა, მისი შებრალების და მიტევების უფლება მარტო ღმერთს რჩებოდეს—ეს არის მწუხარება პირველ კუბოს დანახვაზე, სანდრო-ცირიკიძე გაცოცხლება ყველა „ყანწელების წიგნებში...

ტიციან ტაბიძე.

სანდრო ცირეკიძე.

პოეზიის ამაყი სენიორი, სიტყვის კულტურის უკანასკნელი დაწვლილებით,—იგი იყო ჩვენს შორის, როგორც აპოკალიპსის თეთრი ყრმა—მოსული ცეცხლიანი ჩვენებით.

მისი სულიდან, როგორც კალეიდოსკოპიდან, იხედებოდა პოეზიის ნათელი სამყარო—სავსე ეგზოტიური ფერებით და მდიდარი სურნელებით. ქართული ახალი პოეზიის ფალანგა, რომელსაც აქვს დიდი გამოცანები ახალი ქართული კულტურის და ცივილიზაციის პლაცდარმებზე, მასში ჰხედავდა უთუოდ თავის გამარჯვების იმედს.

სანდრო ცირეკიძე დადიოდა ჩვენში. როგორც პოეტი მთვარეული—კოსმიური სულის ახალი აპერცეპციით.

სიტყვის დიდი ოსტატი და იუველირი—იგი ყოველთვის მიდიოდა მასთან დიდი მორიდებით და იშვიათი სიყვარულით და მის ხელში სიტყვა არას დროს არ ქცეულა კლიშეთ.

სწერდა იგი ნაზი, სურნელოვან ასოებით, როგორც მინანქრიან ხატის მჭედელი ან და გაენათის მონასტრის (სანდროს საყვარელი ადგილი) მორჩილ ბერი.

შეხვედრის დროს ყოველთვის თანაბარი ტონით მოსაუბრე, კეთილი და ზვიადი,—იგი ყველაზე მეტად მაჯერებდა პოეზიის გამტან სიძლიერეში.

ჩვენს; ისედაც პრიმიტიულ პოეზიას, რომელმაც იონა მეუნარგიის შემდეგ წარსულში,—არ იცის პოეზიის ინტიმი, სანდრო ცირეკიძის სახით მიეცა მადლიანი ტემა, სადაც: სიკვდილის და სიცოცხლის საბედისწერო დუელში მომქმედ პირებად იქნებიან: პოეტი და ტუბერკულიოზი ისე, რომ გადამწყვეტ ბრძოლაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდის პოეტი.

თუ კი მომავალ ქართულ პოეზიაში შესაძლებელი იქნება ლეგენდა,—ეს იქნება სანდრო ცირეკიძეზე, რომლის სახელს ადიდებენ ისე, როგორც ელლინთა მითოლოგიაში ალკეის და საპფოსას.

სანდრო ცირეკიძე ჩვენს დროში იყო ყველაზე მეტი პოეტური პოეტი.

მას ჰქონდა საკუთარი პოეტიკა და სტილი და მან, პირველად, წამოაყენა ჩვენი დროისთვის უჩვეულო პრობლემა: სათაურები პოეზიაში. აქ იყო: მიღწევა მწვერვალის და ნათელს ინტუიცია.

ამას გარდა, მისთვის, როგორც სტეფან მალლარმესთვის, წიგნი იყო უკანასკნელი ოცნება და მსოფლიოს კულტურის ეკვივალენტი. ჰქონდა გეგმა საკუთარი შრიფტის და წიგნის, რომლის ასრულებას სიცოცხლეში—იგი ვერ მოესწრო. (ამის შესახებ მე ვიტყვი სხვა დროს).

ქართული წიგნის კულტურა თავის ისტორიას უთუოდ დაიწყებს სანდრო ცირეკიძიდან, რომლის სახელი გაანათებს, როგორც „კირჩხიბზე“ შეტრიალებული მზე.

მისი უბრალო საფლავი ვერის გალავანის ახალს პანთეონში იბრწყინვებს ისე, როგორც სოფელ ოსტროგორსკის თოვლიან ნაძვებიდან პუშკინის სისხლიანი კუბო.

ქართული ლირიკა მას გამოიტირებს ტუბერკულიოზისგან დაღუპულ ლაფორგივით და ქართულ ახალ პოეზიაში მას ყოველთვის ექნება ადგილი ამაყ პოეტების გვერდით.

ვასო გორგაძე.

სანდრო ცირეკიძის დამარხვა

სამშაბათს 19 ივნისს ტფილისში მოხდა სანდრო ცირეკიძის დაკრძალვა. სანდრო ცირეკიძე ავად იყო ტუბერკულოზით, ის ჩამოიყვანეს ქუთაისიდან ტფილისში, აქედან ახალი მწერლობის კავშირი აპირებდა მის გაგზავნას აბასთუმანში, მაგრამ მგზავრობამ ავადმყოფობაზე კატასტროფიულად იმოქმედა და ხუთშაბათს 15 ივნისს გარდაიცვალა არამიანცის სახელობის საავადმყოფოში. მეორე დღეს მიცვალებული გადმოსვენებულ იქნა ქაშვეთში, სადაც ყოველ დღე იმართებოდა პანაშვიდები, სამშაბათს მიცვალებული გაასვენეს ვერის სასაფლაოზე, გამოსვენებას დაესწრო თითქმის მთელი ქართული მწერლობა, მიუხედავად იმისა, რომ სანდრო ცირეკიძე ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო და ავადმყოფობა უშლიდა ხელს ტფილისში ეცხოვრა, მაინც იმდენი მოასწრო-გაეკეთებია ქართული მწერლობისთვის, რომ იშვიადათ მოუყრია თავი ასე ერთად ქართულ მწერლობას [illegible] ღელეს. ამ შემთხვევაში მას ნა ახალი პანთეონი ვერაზე; სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირს გადაწყვეტილი აქვს პანთეონი დიდუბედან გადმოტანილ იქნეს ვერის სასაფლაოზე, უკეთესი ადგილი პანთეონისთვის არ მოიპოვება ტფილისში. ამისგარდა აქ დასაფლავებული არიან: დანიელ ჭონქაძე ლ. არდაზიანი და გრ. რჩეულიშვილი.

პირველი სიტყვა საქართველოს მწერალთა კავშირიდან სანდრო ცირეკიძეს უთხრა დამსახურებულმა ბელეტრისტმა დავით კლდიაშვილმა. დავით კლდიაშვილმა მოიგონა ალია ჭავჭავაძის სიტყვები ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების დროს ნათქვამი: ყრმაო პოეტო, უღვთო იყო შენი სიკვდილიო“. დავით კლიაშვილმა ანიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სანდრო ცირეკიძე ახალგაზრდა იყო მან საგრძნობლად გასწია ქართული პოეზიის საზღვრები, და იყო იშვიათი ბედნიერი ნოვატორიო,

სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირის სახელით სიტყვა სთქვა ვახტანგ კოტეტიშვილმა, მან სანდრო ცირეკაძეს უწოდა ქართული პროზის ბატონიშვილი. ანიშნა რის გაკეთება მოასწრო განსვენებულმა ქართულ პროზისთვის და რა მჭრელი იყო მისი ანალიტიური ჭკუა. ძველი ქართული ჩვეულებით მის ადგილს კავშირში ვერავინ დაიჭერს, ის ყოველთვის იქნება ცარიელი და გათხრილ საფლავით მოგვაგონებს დროებით დაშორებულ მეგობარის სულს, რომელიც მატერიის ბუნტმა მხოლოდ ფიზიკურად გაიმეტა.

„ცისფერი ყანწების“ ორდენის სახელით სიტყვას ამბობს პაოლო იაშვილი; ეს მეორე სიკვდილია დღეს “ყანწები“ს ცამეტში. რაც არ უნდა გული დამწყვეტი ყოფილიყო სიკვდილი უმცროსი ძმის და ცისფერ ყანწების ბენიამინის შალვა კარმელის, მაინც ყველაზე საგრძნობია სანდრო ცირეკიძის სიკვდილი ყანწელებისთვის.

თუ ქართულმა მწერლობამ მასში დაკარგა იშვიათი ნოვატორი პროზის, “ყანწებმა“ სანდრო ცირეკიძეში დაჰკარგეს ორგანიზატორის მარჯვენა ხელი.

სანდრო ცირ ეკიძემ მიუხედავათ იმისა რომ შვიდი წელიწადი ებრძოდა ტუბერკულიოზს და უხდებოდა უნახავ გაჭირვებაში ცხოვრებას, მაინც იმდენი მოახერხა: რომ დაარსა გამომცემლობა „კირჩხიბი“, ჟურნალი „შვილდოსანი“, გამოსცა ახალი მწერლების ანტოლოგია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფან მალარმე ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისები“ კოლაუ ნადირაძის „ბალდახინი“, თავისი „მთვარეულები“ გამზადებული ჰქონია დასაბეჭდათ ელენე დარიანის ლექსების წიგნი და ქართველ პოეტების ლექსიკონი. პაოლო იაშვილი ანიშნავს რომ მისი დასაფლავება ახალ პანთეონში დაფასებაა მისი ბანმოკლე სიცოცხლის და ის როგორც ფრანგი პოეტი ჩამოვარდა ტფილისში იმიტომ რომ აქ მომკვდარიყო.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სახელით სიტყვას ამბობს პოეტი ლევან ასათიანი, რომელიც გამოსთქვამს ახალგაზრდობის მწუხარებას ჯერ კიდევ გაუმთავრებელი მწერალის უდროო სიკვდილის გამო.

ქუთაისის მწერალთა კავშირის სახელით სიტყვას ამბობს ილია ჭყონია. მისი გულწრფელი და დარბაისელი სიტყვა კიდევ ზედმეტად ამტკიცებს იმ სიყვარულს, რომელსაც გრძნობდა ყველა ვინც შეხვედრია სანდრო ცირეკიძეს სიცოცხლეში. ილია ჭყონიამ კეთილ შობილად აღნიშნა ის შროშა, რომელსაც ეწევა ახალი მწერლობა, რომლის ბანაკსაც ეკუთნოდა სანდრო ცირეკიძე.

ცისფერი ყანწები

პორტრეტები.

I

(ეს წერილი სხვა ბევრ ხელნაწერებთან ერთად დარჩა სანდრო ცირეკიძეს. მას დაუთავებია ცისფერი ყანწელების პორტრეტები. მაგრამ თითქმის ყველა პორტრეტი დაუწერია მეორეჯერ და ზოგი მესამეჯერაც. აქ იბეჭდება პირველი ვარიანტი ვალერიან გაფრინდაშვილის პორტრეტის ბრხილებში ნაჩვენებია ბდგილები, რომელიც ამოშალა თვითონ სანდრო ცირეკიძემ. შემდეგ მას დაუწერია სულ სხვა წერილი. ამ წერილებს ჩვენ დავბეჭდავთ ,,ცისფერ ყანწები''ს ერთ-ერთ უახლოეს გამოცემაში,)...

ვალერიან გაფრინდაშვილი.

(ქუთაისის ქუჩები ინაზებიან აკაკის ნელი სიარულით. ბალახვანში დალია სული მამია გურიელმა. ყოველთვის ცხოვრობდენ პოეტები იმერეთის ქალაქში.

,,ცისფერი ყანწების'' ისტორია და მისი ტრადიციები დარჩა უმთავრესად აქ. პოეტების ღამე ნათევი და ნაოცნები ქუჩები ეხამებიან ბაგრატის ნანგრევებს და გელათისაკენ მიმავალ გზას). დასავლეთის ფარდას დაისით გაწითლებულს აფანტასტებს ზურმუხტის ჩარჩო ქუთაისში.

ვალერიან გაფრინდაშვილი—პოეზიის დიდი ცერემონი მეისტერი ამ ფონზეა ამართული დირიჟორის ჯადოსნურ ჯოხით და დაისის ცეცხლის ფარდაზე რიგრიგათ გამოჰყავს ფეერიული ფიგურები. დაისის ფარდა ტატრია და ქიმერები—აკტიორები. ნაცნობი და უცნაური სახეები ,ქანაობენ კარუსელზე. ირევიან საღამოები. იხლართებიან შლეიფები და თითქოს დაისის ფარდით გაშლილია ჰამლეტის მოსახურავი.

(ოფელია მოდის—ნაზი ქალბატონი პოეტის ოცნების. ისე ეფერება პოეტი ამ სახეს, რომ მესტები ჩააცვა. ვალერიან გაფრინდაშვილის ოფელია არაა ბლოკის ,,ნეზნაკომკა''. ნეზნაკომკა ნისლშია და თოვლში. ოფელია დაწმენდილია, ხელშესახებია. ოფელია მარგალიტია და პოეტი ჯვარს იწერს მასზე. დაისების სცენაზე უინკასავით გამოდის აზორდია—აზნაურობის დამრიგებელი.) აზორდია სიმბოლოა პოეტის. ის თვით ცხოვრებას ქმნის ეფემერულად და მისი ყალბი სიბნელები საააოს ყანთრავს. (დაიწმინდება ფარდა დაისების და ვალერიან გაფრინდაშვილს გაფითრებულს მოევლინება მისი ორეული. ეს უკანასკნელი გაყოფა ქვეყნის, დანახვაა უცხო უპსკრულის.

პოეტის ქვეყანა არაა ნატურალისტური. იგი არაა ხუთი გრძნობისათვის) ვალერიან გაფრინდაშვილმა წაართვა სამყაროს ხმოვანობა და პერსპექტივა და ფარდაზე გააკრა როგორც ქრისტე. დაისების თეატრის მთელი პერსონაჟი მოძრაობს უბმაუროდ და ეს ფერების კოლეიდოსკოპი მისტიფიკაციაა.

ჩვენში არც ერთ პოეტს არა აქვს ასეთი სიმრავლე სახეების. ვალერიან გაფრინდაშვილმა აკურთხა ისინი აზნაურებათ და თავისი შტამბით გაუშვა სოფლად.

(ვალერიან გაფრინდაშვილი ქართულ ლიტერატურაში დამთავრებულ პოეტად მოვიდა უეცრად. წვიმიან ღამეში ძაღლის სიმღერა. მიტოვებული ქანდაკების ატირება შემოდგომაზე. ქალი ჩაქენილი თრალით და ხელის ორეული ნაპოვნი ხელთათმანის. ქართულ პოეზიაში მოვიდა ახალი ერეოლა. პოეტმა მოიტანა ფორმის კულტიც. მართალია იმ ხანად ჩვენში გაშლილი იყო აზიური მოდერნიზმი და ძებნა უცხო რითმების არ იყო ახალი. მაგრამ ეს მოდერნიზმი გაწყვეტილ სიტყვებით ჭრელ კოლპაკიან ჯამბაზის სიარულს გავდა ბაწარზე). ვალერიან გაფრინდაშვილმა მოიტანა სიცოცხლე და ზომიერება ევროპიელის. იმას დღემდი არ დაუწერია თავისუფალი ლექსი. ყანწელისათვის ეს ძალიან სიმპტომატურია (შეიძლება ვალერიან გაფრინდაშვილი პირველი პარნასელი იყოს ჩვენში (ფორმის მხრივ). ევროპის კულტურა მოდიოდა საქართველოში და პარნასიზმი ხომ მხატვრული ფორმების კულტურაა: იმას ლანდივით მაინც უნდა გაეკროლა ჩვენ ცაზე და ეს როლი ხვდა ვალერიან გაფრინდაშვილს. საქართველოში არავის ყვარებია სონეტი მასავით. მას პირველ წიგნში 20 პროცენტი სონეტია. მაგრამ ამ გაყინულ ფორმას მისმა წერილმა მოუძებნა ისტორია და მისცა მისტივობა. განსაკუთრებით პირველ ხანებში ფორმისათვის ის პარნასელი იყო უთუოდ. მაგრამ მისი გატაცება ფორმის კულტით იყო დროული ისევე, როგორც სხვაყანწელებისათვის) ის არაა ოსტატი მხოლოდ. ვალერიან გაფრინდაშვილი პოეტია და უყვარს კაპრიზები და სარტომორტალები. ეს უფრო ემჩნევა მის რედაკტორობას. უყვარს უჩვეულო ,,მეოცნებე ნიამორებში'' სარჩეკის სახელი რამოდენიმეჯერ გამოსცვალა.

ძვირფას ქვებივით ეძებს ძველ სიტყვებს და ხან აშორდიასავით აკეთებს ყალბ მარგალიტებს. მისი სიტყვებია: ქიმერიონი, ამარსიფალი, დადიანი.

უყვარს რითმები სამკაულებივით და როგორც მხევლებს ავროვებს უკეთესებს თავის არამხანაში.

(მაგრამ ვალერიან გაფრინდაშვილი არ იყო უნაკლო ოსტატი თავიდანვე. ის ებრძოდა ქართულ სიტყვას და მისი სონეტები და სწორიწლექსები მძიმე რიტმით იწლებოდა ჩვენ წინ შინაგან რიტმს ანელებდა სახეების მეტი შეჯგუფებაც. მდიდარ ფანტასტიკას ვერ ზიდულობდა თორმეტ მაცვლოვანი ლექსიც.

,,პოეტობა თუ ნიჭია უმთავრესად, ოსტატობა წარმატებაა) ვალერიან გაფრინდაშვილის სტილი [illegible]წმინდა და ლექსი მისი ამჩატდა ჩინური ფაიფურივით სათუთი. იმან დაიჭირა სიტყვა და იგი ახლა უკეთესი შაესტროა ქართული ლექსის. მისი ფორმა თასმასავით მოყვება მის პოეტურ განცდას და ისე უშვალოა როგორც სახელი. აღარ იცი ვინ უფრო გაჯადოებს—პოეტი თუ ოსტატი

(როდესაც მე პირველათ დამანახვეს ქუთაისში ვალერიან გაფრინდაშვილი მე ის მეგონა უცხოელი ჩამოსული საგასტროლოდ. ის დღევანდლამდი უცხოელია ქართული საზოგადოებისათვის, თუმცა არც ერთ ყანწელს არ აქებენ ფილისტერები მასავით) ფილისტერები დაისების ფარდის წინ ოცდებინ კოლორიტით და ფიგურებით, როგორც სპარსული ხალიჩით. მაგრამ ამ იეროგლიფებში ვერ კითხულობენ ღმერთის სიახლოვეს.

სანდრო ცირეკიძე.

ნოე ჩხიკვაძე.

(მახი წიგნის გამო).

რომაელებმა ვრცელში გამოიჩინეს დიდი სინაზე: რომ გარდაცვალებულებზე ან კარგს ამბობდენ, ან არაფერს. მაგრამ დღეს უკვე ძნელია ამ თვისების გამოჩენა, რადგან გონება დაგვეუფლა მტკიცედ, და ღირებულებათა ძიება ყველაფერს გვაგიწყებინებს. ეს არის ჩვენი ეპოქის სტილი. შეიძლება აქ დაგიწყებაც არ იყვეს, მაგრამ დაძლევაც კი არის. ბოლო ეს დაძლევა უმტკივნეულოდ არ ჰხდება. განსაკუთრებით ხელოვნებაში, სადაც სიკვდილი ყველაზე საგრძნობი და უძირო ემოციათა საშინელი გამომწვეველი. ჩვენ, ქართველებმა განსაკუთრებით ვიცით ეს ტკივილები, და იქნებ ეს იყვეს მიზეზი, რომ ქართული აზრი საგანგებოდ გაურბოდა ამ პრობლემას. მაგრამ აქ სხვა პრობლემა იწყება. მე აქ ერთი წიგნი მაინტერესებს, რომლის ავტორი სამი წლის მიცვალებულია: ნოე ჩხიკვაძე. მე მგონია, ვინც კი იცნობდა იმას, დღესაც ხელ-შესახებად ჰხედავს, ესმის მისი მკერდული ხმა, განიცდის მის აფორიაქებულ ტემპერამენტს. სამი წლის მანძილი მაინც აძნელებს განზე გადგომას, რომ მისი პოეზია შეფასდეს გადაუმტებლად. მე მინდა ვიყვე რაც შეიძლება ობიექტიური.

ნოე ჩხიკვაძე ამ პერიოდის მწერალია, რომელმაც ვერ წარმოშვა ვერც ერთი, შედარებითი დიდი პოეტი. ეს ეპოქის ბრალია. ბერეკ საუკუნის დასაწყისი დღევანდლამდე, პოლიტიკის კუთვნილებაა. (მე საქართველოს ვგულისხმობ). საზოგადოებრივი ცხოვრების მტეხიარობამ გააძნელა პოეზიას სვბარიტებში, რადგან რევოლიუციები პოეზიის გაქანებას აკარებდენენ, და მეტ წილად, ამ უკანასკნელს უხდებოდა პირველთან კონტაქტის ძიება. ეს მოვლენა საერთო კანონის ხასიათს უახლოვდება. ჩვენშიც ეს უნდა მომხდარიყო. 1905 წლიდან რომ სტატისტიკურად ალირიცხოს, დღევანდლამდე დაწერილი მგონია 90 პროცენტი ე. წ. „სამოქალაქო მოტივიან„ ლექსებს მოუვაო. და ნოე ჩხიკვაძეც, ჯერ როგორც პოეტი, და შემდეგ როგორც თვით რევოლიუციის აქტიური ელემენტი, ვერ ასცდებოდა ამ „სამოქალაქო“ გზას. ეპოქამ დაჩნია თავისი კვალი და ძლიერადაც. განმანთავისუფლებელი მიძრაობა, თავისი პროგრამული ხასიათის, გადმოტანილია მის ლექსებში, და თუ ეს პოეზია უმატებს რამეს პოლიტიკურ მომენტს, სამაგიეროდ ბევრს აკლებს ავტორს. ასეთი პოეზია იზიარებს ჟურნალისტიკის ბედს. თუ იმ დროს ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა, დღეს უკვე მომსპარი აქვს გავლენის და მოქმედების არე. აქ დღიურ მნიშვნელობის შესახებ თუ ვისაუბრებდი, თორემ გამლეობა სულ ცოტა აქვს. თითქმის ჰკვდება იმ დღესთან ერთად, რა დღისთვისაც არის დაწერილი. ამ თვალსაზრისით, ნოე ჩხიკვაძის ლექსთა უმრალესობას აქვს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა. მაგრამ მხოლოდ ეს კი არ არის საინტერესო. მგონია რომ უფრო საგულისხმო შემდეგია: ამ ყოველდღიურობის პათოსის უკან დარჩენილი ავტორის სილუეტი, პათოსსაც სჭირია გაძღოლა, და ვისაც ეს შეუძლიან, მან თავის არეულობაში [illegible] იცის, და თვით ამ შემოწოლილ სიცხის გაციებაც.

და მე, როდესაც ვკითხულობ მის უკვე გაციებულ ლექსებს, თითქმის ვხედავ მათ გადაღმა ავტორს, რომელიც მისტირის უქმად ჩავლილ ენერგიას, და შურის-ძიებით შეპყრობილი, მთელ ქვეყანას ემუქრება იმ გაწბილებისათვის, რომელიც მოჰყვა ისეთ გატაცებულ სასიცოცხლო ძალთა გაფლანგვას. მე აქ უკვე ვხედავ პიროვნების თვალის ახვლას, რომელიც თავის დანახვას დავძებს. ეს პროცესიც თან-და-თანობით ჰხდება... ჯერ კოსმოპოლიტური ხელმოხვევა, რომელიც იშლება „დაჩაგრულთა ბედისწერა“. თუმც პიროვნული დასაწყისი იქაც ეტრება, მაგრამ როგორც „შავი აჩრდილი“, რომელიც კოსმოპოლიტ პოეტს „ეზიზღება“. ეს პირველი პერიოდის. გზნება ნელდება. „შავი აჩრდილი'' უფრო მეტად ახვლს თვალებს. რკალი ვიწროდება. [illegible] იწყება. „ჩემი სამშობლო!“—„დიდი ხანია ვიკავებდი გლოვა-ვაებას“... ეს ახალი პათოსია, უფრო ძარღვიანი, რომელიც ლექსში „ობოლი„ (ლადო დარჩიაშვილის ხსოვნას) ნაპირებს გადადის. ჩვენ გვესმის ეს პაროლები. ვიცით, რას ნიშნავს ფრაზა: „მოკვდა ისე, რომ წილი არ მიიღო მტრობაში“; ისიც ვიცით, თუ ვინ იგულისხმებოდნენ იმ ხალხად, რომელთაც „შეუქნიათ ნათელ აზრთა ბორკილი“. ვინც იცნობს ლადო დარჩიაშვილის ისტორიას, იმისთვის ვიმეორებ ეს პაროლები გასაგებია. აქ „შავი აჩრდილი“ პიროვნების ხაზებს ჰპოულობს: მაგრამ საკუთარი თავის ძიება მაინც არ დამთავრებულა.

— „ყვაოდა ოცნება-დამწიფდა ნაღველი... და ეს „ნაღვილი“ უკვე ახრჩობს, როდესაც მიაგნებს თავის თავს. აქ უკვე საშინელება იწყება. პიროვნებითვის თავის მხოლოდ. ლექსი „ს“-ს „ვინ მკითხულობს? ვინ დამეძებს? ვის უყვარვარ მე?.... რად მკითხულობ?.. ვინ, ხარ, ვინა?.. მართალია გრ. როგაქიძე, ამ ლექსის გამო რომ სწერს:—მარტვილობაში ნოეს აღმოხდა ისეთი ტირილი,, რომლის მსგავსი იშვიათად გვინახავს ქართულს ლირიკაში.“ და რომ ჩემი ხაზიც მართალია, ამაყე ლექსით მტკიცდება:—,,დაჩაგრულთა მოძღერალი ჩანგს რად ვშორდები?—მომითმინე,—ჯერ ცხოვრებას გავუსწორდები“... გაწბილებულ ბავშვის მუქარაა. პატარა მუშტებს რომ უღერებს ვიღაცას და გულ-ამომჯდარი კი ტირის, სუსტი. ნოე ჩხიკვაძე აქ შიშით არის შეპყრობილი იმ დიდი მოვლენის წინაშე რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრება ჰქვიან. აქ თვალი აახილა ნამდვილმა პოეტმა, რომელსაც უკვდავება სწადიან, მაგრამ ჩახედა რა თავის არსებას გაძარცული აღმოჩნდა. ყოველ-დღიურობამ სიხარულის პათოსი გამოუცია, და პოეზიას მხოლოდ ის ცრემლები დაუტოვა, რომელიც ძვირფასია ყოველ აჯანყებულ პიროვნებისათვის, კოსმიურ

სანდრო ცირეკიძე.

(ბიოგრაფია).

სანდრო ცირეკიძე დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1894 წელს. მამა მისი გიორგი, ხელობით დურგალი, არ იშურებდა არაფერს ოღონდ კი მიეცა თავის საყვარელ შვილისათვის შესაფერი აღზრდა. წინასწარი მომზადების შემდეგ იგი შევიდა რეალურ სასწავლებელში. აქ პატარაობიდანვე სანდრომ საოცარი ნიჭი გამოიჩინა. განსაკუთრებით ემარჯვებოდა მას მათემატიკა სწავლობდა შესანიშნავად. წერა დაიწყო პატარაობიდანვე. სწერდა ლექსებს, პოემებს, პროზაულ ნაწარმოებს და გვიკითხავდა ჩვენ მის ახლო მეგობრებს. მაშინ სასწავლებელში სასტიკი წესი იყო შემოღებული. განსაკუთრებით სდევნიდენ ქართულ ენას.

ჩვენ სასწავლებელში ქართულ ენას ყოველთვის მეექვსე საათი ქონდა დათმობილი. მოღლილ, მოქანცულ მოწაფეებს ხშირად სძლევდა სიზარმაცე და გარბოდენ გაკვეთილიდან. მით უმეტეს, რომ ამისათვის არავითარი სასჯელი არ მოელოდათ.

სანდრო კი განსაკუთრებით ამ მეექვსე საათს შენატრიდა. გაკვეთილის შემდეგ გაასწრებდა მოწაფეებს, დაადევნებოდა განსვენებულს მასწავლებელს ჩამოკაძეს, შეაჩერებდა და გადასცემდა ახალ ნაწარმოებს შესასწორებლად.

მასწავლებელიც სიხარულით იღებდა მორიოლვარე ბავშის ხელიდან პატარა რვეულს და აძლევდა ღირსეულ შენიშვნებს.

ბავშობიდანვე გულჩახვეული იყო სანდრო- არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი. თუ იტყოდა რამეს მოკლედ და მოჭრით. მას ყავდა თავისი ვიწრო წრე ამხანაგებისა. ეს წრე სულ სამი კაცისაგან შესდგებოდა: სანდრო, მე და განსვენებული გიორგი ყენტი, რომელბაზედაც მაშინ სასწავლებელში ყველაზე მეტ იმედებს ამყარებდენ. არ იყო ისეთი საათი, წუთი, რომ ჩვენ ერთმანეთან არ ვყოფილვყოფილ, ხსოვნით—მოგონებით მაინც. ,,წმინდა სამებას'' გვეძახოდენ ამხანაგები.

სანდრო ყოველთვის განირჩეოდა თავისა ინიციატივით, ორგანიზატორუდა ნიჭით. თითქმის ყოველ დღე გვიკითხავდა თავის ნაწარმოებს. უხაროდა და ჩვენც გვაქეზებდა.

მე-5 კლასში იქნებოდა როცა მან დაბარსა სალიტერატურო წრე. დაგვითმო თავისი ოთახი და აქ მართავდა სხდომებს. ხშირად აწყობდა ქართველ მწერლების კითხვას, მათ ნაწარმოების გასამართლებას. ამ შემთხვევაში ყველას ჩრდილავდა გიორგი ყენტი. მისი სტიქია იყო სიტყვა. იყო მახვილი ჰკუის პატრონი, ენა მოსწრებული, თანაც დარბაისელი და მკვეთრი პასუხში. მახსოვს სასწავლებელში გამართეს რუდინის გასამართლება. გიორგი ყენტი იცავდა ბრალდებულს. დაცვის დროს იგეთი მოხდენილი, ორატორული ექსპრესიით დაქანებული სიტყვა წარმოსთქვა, რომ მთელი სასწავლებელი აღრფოთოვანებაში მოიყვანა. სანდრო კი უფრო დამჯდარი მოაზროვნე იყო. სწერდა დრამებს და ჩვენ ბავშები მისივე მინაში ვაწყობდით წარმოდგენებს.

მეექვსე კლასში განირჩია ხელნაწერ ჟურნალის გამოცემა. და სუფრილი კიდევაც მოიყვანა სისრულეში.

ამ დროს მას უკვე დიდი ხნიდან ქონდა დაწყებული ჟურნალ გაზეთებში პატარა მინიატურების ბეჭდვა. და რა თქმა უნდა ხელნაწერ ჟურნალისათვისაც არას დროს არ შემოაკლდებოდა მასალა.

შევიკრიბეთ ,,სამება'' და დავადგინეთ გამოგვეცა ჟურნალი. რედაქტორად ავირჩიეთ თვით სანდრო. მე და გიორგი ყენტი მისი ამხანაგები ვიყავით. ჟურნალს დავათქვით ,,ჩანგური''.

ვწერდით შიგ ლექსებს, მოთხრობებს და წერილებს. უმთავრეს მონაწილეთ რა თქმა უნდა სანდრო ითვლებოდა. ამ ჟურნალში დაწერა მან კრიტიკული შენიშვნები პოეზიის შესახებ. ამ წერილებიდან უკვე სჩანდა მომავალ პოეტის დაწმენდილი სახე. იყო წერილში პოეზიის შეგნება და თავისებური მისწვლა მასთან. ბევრ წერილებს სწერდა აგრეთვე გიორი ყენტი. მისი წერილებიც საესე იყო დაკვირვებით, საგნის ცოდნით. განსაკუთრებულ სიძლიერეს იჩენდა ის ეროვნულ საკითხებში- იყო ჭეშმარიტი ბაშალიშვ. და უეჭველია მისი დაკარგვით ახალგაზრდა საქართველომ დაკარგა ერთი გატაცებული, განაწამები რაინდი მშობლიურის სიყვარულის.

პატარაობიდანვე სანდროს ყველაფერზე უფრო უყვარდა მოგზაურობა. თითქმის ყოველ კვირას წაგვიყვანდა ის სადმე ქალაქს გარეთ ფეხით შორს... შორს... ლაპარაკობდა გატაცებით პოეზიაზე, საქართველოზე, თავის ბუნებაზე. მისი საყვარელი ადგილი იყო მოწამეთა და უფრო კი გელათი. გელათის მშვიდ ეკლესიის ჩრდილოებში წამოწვებოდა და სწერდა თავის მთვარეულ მინიატურებს.

გელათი იყო მისთვის შთაგონების უწმინდესი ობიექტი და წარსულის მედიუმი. სანდრო—რომანტიკი, სიტყვის ფაბრიკანტი, რაფაელ სანზიოს ნაბადაა ეცვა. ეს ბოლო ეკეთა ,,ბალ-ბალ'' ,,ბალ-ბალ'' ,,ბალ-ბალ''

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოფლიქტებში უფლებას რომ ეძებს, და ხაბოლოოდ კი საკუთარ სკეპსისშივე ჩაიხრჩობს თავს.

ფორმის მხრივ უნდა ითქვას, რომ პოეტი ვერ ჰპოულობს, თავის პათოსისთვის შესაფერ ფორმას. კი ჰგრძნობს, რომ მოწოლილია დიდი ძალა, მაგრამ სიტყვის მხედველობისა და სმენის განუვითარებლობით, ეს ძალა იკარგება გაცვეთილ სიტყვების და რითმების ხვრელებში. მხოლოდ ბოლოს უფრო შეეძლო გამოშეოლავნება, მაგრამ სავსებით მაინც ვერ მოკლე აღმოჩნდა მისი პოეტური გზა, თუმც ამ გზაზე ის შესამჩნევად იზრდებოდა და მაღლდებოდა. ამბობენ, რომ მაურატმა, სამეფო კვერთხის გვერდით დასდო თავისი პორტალიონის წკეპლა და ამაყად სთქვა: —„აი როგორ დავიწყე—“ ო! ნოე ჩხიკვაძესაც შეეძლო ამავე სიამაყით შეედარებინა თავისი პირველი ლექსები ბოლო ლექსებთან, რადგან ნახტომი საკმაოდ დიდია, მაგრამ იმ სიდიდესთან, რას პოტენციალს ჰქონდა ალბად, მაინც პატარაა დარჩენილი მემკვიდრეობა. მაგრამ ჩვენ მაინც გვიყვარს ეს პატარა დოკუმენტი. მხოლოდ ვინ იცის, დიდ-ხანს ეყოფა ეს გრძნობა ნოე ჩხიკვაძის პოეტურ სახელს?

ვახტანგ კოტეტიშვილი.

ᲥᲝᲜᲒᲚᲔᲠᲔᲑᲘ.

ორშაბათს 25 ივნის რუსთაველის თეატრში ნ. ევრეინოვმა და ვ. კამენსკიმ მოაწყვეს თავიანთი საღამო. პირველი კითხულობდა „როგორ ცხოვრობენ პარიზში“ და მეორე „როგორ ცხოვრობენ მოსკოვში“. როცა ვუსმენდით ამ გასტროლიორებს ჩვენ გვეგონა, რომ ხლესტაკოვს მიეცა რალაც კოსმიური ყოფნა და ატმოსფერულად გადადის ყველაში. რასაკვირველია ჩვენ არ მოველოდით ვ. კამენსკიდან რაიმე ორიგინალურ ან ჭკვიანურ თქმას, მას საკმაოდ აქვს რეპუტაცია უქამრო „გარმონისტის“ და ნადსონის ეპიგონისს, მაგრამ სამაგიეროდ ნ. ევრეინოვს, მართალია ყოველთვის „ნეუდაჩნიკს“, მაგრამ გაძაფრებული ჭკუა მაინც ქონდა. ამ ღამეს ორივე გასტროლიორი შეურაცმყოფელი გულგრილობით და დაუდევმოეპყრენ ტფილისს. მათ ალბათ თავიანთი თავი წარმოიდგინეს კინეშმაში და ან სადღაც მიყრუებულ მიგროროდში, რომ ელემენტარული სიტყვებით, რომელნიც გადადიოდენ პომლიაკობაში დაიწყეს მოთხრობა სატახტო ქალაქებზე. და ასე ნ. ევრეინოვს პარიზი, წარმოუდგენია რუსი ემიგრანტების ტრიუმფით აღებულ ქალაქად, თურმე აქ საველი სორინი (ეპიგონი რუსული მხატვრობის) ერთი უსწორთება მხატვრულ პარიზს და იგორ სტრავინსკი კიდევ მუსიკალურ პარიზს, ბალეტზე თქმა ზედმეტიაო: ჩვენ გვგონია რომ უსირცხვილობაა ასეთის ერების გასაღება იმ ხალხში, რომელმაც იცის სორანი და სტრავინსკიც, უფრო შეურაცმყოფელი იყო კიდევ ტრაბახი ვ. კამენსკის, რომელმაც ხელოვნების მაგიერ ილაპარაკა კინოზე მთელი საათი და თავის სცენარიებზე და თანაც სცენიდან მოუწოდებდა კოტე მარჯანიშვილს. დაედგა მისი „სტენკა რაზინი“ (ათასჯერ მართალი იყო პაოლო იაშვილი, რომელმაც ვერ მოითმინა და რეპლიკით გააწყვეტინა მოხსენება ნუ გაიწყდება, რომ ტფილისი სატახტო ქალაქია საქართველოსი და ნუ ლაპარაკობ აგიტატორივითო) ვ. კამენსკიმ ამას მხოლოდ ასე უპასუხა „პაოლო იაშვილი მშვენიერი პოეტიაო“ ითქო ამით კიდევ უმტკიცებდა პაოლო იაშვილის პოეტობას. ჩვენც ვიცით, რომ თვითონ ვ. კამენსკი არის რუსული სტიქია და პოეტური. შთაგონება, მაგრამ ეს საკმაო არ არის, რომ ორი საათი ილაპარაკოს სისულელე მოხსენების სახით და აქო თავის თავი.

ყველენ შემთხვევაში ამ ღამეს ნ. ევეეინოვის ვ. კამენსკის რუსულ ხელოვნების ეპოლოგიას ჰქონდა მასხრული ხასიათი. ამაში დარწმუნდენ ისინიც, ვინც კიდევ იმედით მიდიოდენ მოხსენების მოსასმენად. აშკარა გახდა რომ მათი ტემპერამენტი ძალიან მოდუნებულია, მით ორივეს შეპარვიათ სიბერე და უღონობა და მხოლოდ სიტყვებით ამშვიდებენ თავიანთ თავს. ვერავითარი გიმნი 40 წლის ბაღშობას არ უშველის, ამ გადატეხას, ეს მათი პერსონალური უბედურება არ არის ეს ფალში და ძალათ თქმა იყო მიზეზი მათი დამარცხების ამ ღამეს, და ყველა იმ გრძნობით გამოვიდა თეატრიდან, რომ პარიზი და ევროპა კი არა თვითონ ეს ხალხი გაიცდის ბგონიას და ეონგლიორის უკანასკნელი არაგულწრფელობით ფიქრობდენ ტფილისის მოტყუებას.

ვარამ გაგელი.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ.

მოსხენებები თეატრზე.

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტმა 17 ივნისს ორშაბათს ხელოვნების სასახლეში გამართა საჯარო სხდომა, რომელზედაც წაიკითხეს მოხსენებები თეატრის შესახებ: კოტე მარჯანიშვილმა, ლეო ქიაჩელმა, პაოლო იაშვილმა და ტიციან ტაბიძემ.

კოტე მარჯანიშვილი შეეხო მომავალ სეზონის რეპერტუარს და საზოგადოებას გააცნო გეგმები მომავალ სეზონისთვის დასამზადებელ პიესების.

უმთავრესს მნიშვნელობას კოტე მარჯანიშვილი აძლევს რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“-ს სცენაზე დადგმას. მას აურჩევია განსაკუთრებული კომისია, ვეფხის ტყაოსნის სცენისათვის გადასაკეთებლად. ტექსტი ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ შიგ არ იყოს არც ერთი სიტყვა არა რუსთაველის და აგრეთვე არც ერთი გადაკეთებული ფრაზა. შემდეგ კოტე მარჯანიშვილი ანიშნავს, რომ რადგან ქართულ დრამას უხდება დააკმაყოფილოს საზოგადოების ყველა წრეების მოთხოვნილებანი, ამიტომ შეუძლებელი შეიქნა პიესების ნამდვილი შერჩევა: სეზონში მოცემული იქნეს როგორც ა. ცაგარელი, ერისთავი და სუნდუკიანი, ისე უახლოესი მოდერნისტული პიესები, ასეთივე ეკლეკტიკურია შერჩევა ნათარგმნი პიესების; თუმცა უმთავრესს ყურადღებას რეჟისორი მაინც აძლევს ვერფელის „შპიგლმენში“-ს დადგმას და იტალიანურ კომედიებს.

თეატრის კრიზისზე და ახალ ძიების თეატრზე დასაბუთებულ მოხსენებას აკეთებს ლეო ქიაჩელი. ლეო ქიაჩელმა ანიშნა, თუ როგორ მიდის ევროპის თეატრი მექანიზაციამდე და როგორ ამოწურულია ევროპის თეატრისათვის ყველა საშუალება თეატრის აღორძინების. მოხსენება ისე იყო გახზრახული, რომ ქართულ თეატრს არ შეხებია, საინტერესო იქნებოდა ამ მოხსენების გაგრძელება, უნდა ითქვას, რომ ეხლა გახშირებულ თეატრის მოხსენებებში ლეო ქიაჩელის მოხსენება ყველაზე უფრო სინდისიერი იყო და პასუხისმგებლობით და ფაქტების ამოწურვით დაწერილი.

შემდეგ ილაპარაკა პაოლო იაშვილმა. პაოლო იაშვილი შეეხო მარშანდელ სეზონს და ანიშნა მისი დეფექტები. ყველაზე უფრო მან ხაზი გაუსვა, რომ მარშან კოტე მარჯანიშვილს უხდებოდა კომპრომისების გაკეთება და ისეთ პიესების დადგმა, რომელთაც ვრთმანეთთან არ ჰქონდათ მხატვრულ მეთოდებით კავშირი.

პაოლო იაშვილი აუცილებელ საჭიროებათ სთვლის ახალი პატარა თეატრის დაარსებას, სადაც ახალგაზრდობა არ შეერევა ძველ თეატრს და დამოუკიდებლად მონახავს საკუთარ გზას თეატრალურ შემოქმედებაში.

თორემ ბოლოს ისე მოხდება, რომ არც აკადემიური თეატრი იქნეს იქნეს და არც ახალი თეატრი ძიების; პაოლო იაშვილს ამისათვის მიაჩნია საჭიროთ ეხლავე იყოს აღებული თეატრი ოლღას ქუჩაზე (ყოფილი რევოლიციონური სამხატვრო).

ტიციან ტაბიძემ ილაპარაკა თეატრის და ლიტერატურის ერთიმეორესთან ღამოკიდებულებაზე. მან ანიშნა რომ რევოლიუციები თეატრში ხდებოდნენ სწორედ პოეტების საშუალებით, როგორც რომანიზმის, ისე სიმეოლიზმის პერიოდში, მომხსენებელმა ანიშნა, რა მნიშვნელობა ჰქონდათ მწერლობას თეატრისათვის რუსეთში; მაგალითები: სამხატვრო თეატრი, კამერული, კომისარჟევსკაის, მეიერხოლდის და სხ.

შემდეგ შეეხო ქართველ მწერლების დამოკიდებულებას თეატრთან და დაამტკიცა, რომ თუ არსებობდა საქართველოში თეატრი, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვისთ: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვანო მაჩაბელს, ალ. ყაზბეგს, ერისთავებს და სხვათ. შემდეგ არის პერიოდი გაჩერების, როდესაც თეატრს დაშორდნენ მწერლები—მხოლოდ ეხლა იწყება ისევ დაბრუნება თეატრთთან—და აქ ასანიშნავია გრიგოლ რობაქიძე, კოტე მაყაშვილი, პაოლო იაშვილი.

განსაკუთრებით დღესასწაულის ელფერი მისცეს კრებას ლუარსაბ ანდრონიკაშვილისა და გრიგოლ რობაქიძის სიტყვებმა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ეჭვობს, რომ რუსთაველი გადაკეთდეს სასცენოთ და ან დღევანდელი ძალებით იქნეს დადგმული, შემდეგ შენიშნავს, რომ რეპერტუარს აკლია აკლია ანტიური დრამები და განსაკუთრებით ევრიპიდი. გრიგოლ რობაქიძე თეატრის პრობლემას უკავშირებს რასსიულ ტემპერამენტს და იცავს ანტიურ დრამას.

საზოგადოებაზე საღამომ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და საზოგადოებაც განსაკუთრებით იყო მოწვეული.

მთავარ კომიტეტს განზრახული აქვს კიდევ გამართოს სხდომები: ქართულ მუსიკაზე და მხატვრობაზე.

ᲒᲠᲘ�გᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲡᲢᲔᲠᲘᲐ

„ᲯᲕᲐᲠᲘ ᲕᲐᲮᲘᲡ“.

პარასკევს 22 ივნისს რუსთაველის თეატრის ერთერთ დარბაზში გრიგოლ რობაქიძემ ვიწრო წრეში წაიკითხა თავის ახალი მისტერია „ჯვარი ვახისა“. კითხვას დაესწრენ რეჟისორები: კოტე მარჯანიშვილი, კოტე ანდრონიკაშვილი მიხეილ ქორელი, და აკაკი ფალავა, აგრეთვე არტისტები და მწერლები: ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, კოტე მაყაშვილი, იუანე გომართელი, მელიტონ ბალანჩივაძე, პავლე ინგოროყვა, ს. აბაშელი თამარ ვახვახიშვილი, დავით ჩხეიძე, აკაკი ვასაძე. და „ცისფერი ყანწები“. მთელი შემადგენლობა

მისტერიამ დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. საერთო აზრით ეს შედეგია გრიგოლ რობაქიძის შემქმედების, გარდა ხორალებისა „წმიდა ნინო“ და „მიწის რჯული“ რომელიც დაბეჭდილი იყვენ „მეოცნემე ნიამორებში“ მისტერიაში არის, ახალი კიდევ ოთხი ხორალი... მათგან მონოლოგი კარდუს (უმთავრესი გმირი) ყველაზე უფრო ძლიერია.

მოქმედება სწარმოებს მეცხრე საუკუნეში, „ღებულია მომენტი, როცა მონგოლები მოდიან საქართველოზე. პირველ წაკითხვით მისტერია იძლევა სიმფონიის ჩდაბეჭდილებას და ამიტომ ჩვენ მოვერიდებით შინაარსის მოყვანას, მალე ხელოვნების სასახლეში გრიგოლ რობაქიძე საჯაროთ წაიკითხავს ამ მისტერიას. საკითხი მისტერიის დადგმის სცენაზე ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ეგნატე ნინოშვილის ძეგლის გახსნა.

კვირას 10 ივნიისს ტფილისში გახსნეს ეგნატე ნინოშვილის (ინგოროყვას) ძეგლი. ქანდაკება გაკეთებულია იაკობ ნიკოლაძის მიერ. ძეგლის გახსნას ჰქონდა ზეიმის ხასიათი, თუმცა საძეგლო კომისიას რატომღაც გამორჩა გახსნისთვის მისაწვევი ბარათი გაეგზავნა საქართველოს მწერალთა კავშირებისთვის რომელთა წარმომადგენლების დაუსწრებლობა უთუოდ ჰქმნიდა ერთგვარ უხერხულობას.

მსახიობთა კავშირის კონფერენცია.

ტფილისში დასრულდა სრულიად საქართველოს მსახიობთა კონფერენცია. კონფერენციამ გასტანა ორი დღე და გარჩეულ იქნა ძრავალი საკითხები მსახიობთა ცხოვრების. კონფერენციამ დაადგინა აუცილებლად გამოცემულ იქნეს სათეატრო ჟურნალი. გარდა კავშირის თანხისა, ამ საქმეს მოხმარდება 7 პროცენტი ჯამაგირის, რომლითაც მსახიობებმა დაიბეგრეს თავი, ჟურნალი გამოვა სექტემბერში. დასასრულ ყრილობამ აირჩია კავშირის საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რეჟისორი აკაკი ფალავა.

მწერალთა კავშირებში.

სრულიად საქართველოს შეერთებული მწერალთა კავშირები ივნისის ბოლო რიცხვებში თავიანთი ფონდის გასაძლიერებლათ მართავენ დიდ საღამოს კლუბში „Вечерние Зори“. პროგრამა საღამოსი მრავალ ფეროვანია და საინტერესო

სანდრო ცირეკიძის დამარხვისთვის.

სანდრო ცირეკიძის დამარხისთვის სახალხო განათლების კომისარიატმა გადასდო 30 მილიონი, სახალხო კომისართა საბჭომ 120 მილიონი.

ᲫᲣᲙᲣ ᲚᲝᲚᲣᲐᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ.

ივნისის უკანანასკნელ რიცხვში ფოთში იმართება სახალხო მომღერალის და გუნდის მეთაურის ძუკუ ლოლუას იუბილე. იუბილე იღებს ზეიმის ხასიათს, გამოშვებულია მთელი რიგი მოწოდების ძუკუ ლოლუას პატივისმცემლებისა. სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტმა დადგინა მიულოცოს იუბილიარს 100 მილიონი მანეთი (ფული გაგზავნილია სახალხო განათლების კომისარიატიდან). და დაავალოს კომიტეტის წევრს ლეო ქიაჩელს დაესწროს იუბილეს და მიულოცოს მწერალთა კავშირების და მთავარ კომიტეტის სახელით.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ბელგიის თავისუფალი აკადემია.

ედმონდ პიკარის დაარსებულ ბელგიის თავისუფალ აკადემიაში მოხდა 10 ახალი წევრის არჩევნები: გამოვიდენ აკადემიიდან, იმის შემდეგ რაც სამეფო აკადემიაში შევიდენ წევრებად (წესდების ძალით მათ არ აქვთ უფლება თავისუფალ აკადემიაში დარჩენის ამის შემდეგ): მეტერლინკი, ტეირლინკი, ვერმეილენი, ვანდერველდე, რუსსო, რემბო, კლაუსი, ფანზეინედა ჰორტი მათ მაგიერ აირჩიეს: რეილსი და პიტშ (მუსიკა) მარლოუ, ვილდენი, კრისტიფ (ლიტერატურა) ბლომმი და ბანდუელ (არქიტექტურა) ოლფფი და პუტემან (პლასტიური ხელოვნება).

„ნიცშეს სახელის არქივის“ პრემია.

ვაიმარში ნიცშეს სახელის არქივმა გამოაცხადა, კონკურსი შემდეგ თემაზე: „რა კვალი დაჩნია ხნეობრივ მცნებათა განვითარებამ ენებს და განსაკუთრებით მათ ეტიმოლოგიას“.

არტურ ნიკიშის ხსოვნისთვის.

ბერლინში გამოვიდა კრებული არტურ ნიკიშის ხსოვნის ასანიშნავათ. კრებულში მონაწილეობას იღებენ: რიჩარდ შტრაუს, ჰერგარდ ჰაუპტმან, ლიუდვიგ ფულდი, მიაშკოვსკი და ბარონ ფონ- ლუციუს. კრებულს ახლავს ჯერ უცნობი ფოტ-გრაფიერი ნიკიშის.

თეატრი ცის ქვეშ.

რომის თეატრში ფიოზოლე ცის ქვეშ გაიმართა წარმოდგენა გაბრიელ დ'ანუნციოს პიესების: „იაიროს ქალიშვილის“ და „ჩირაღდნები ზღვაზე“.

ოდილონ რედონის დღიური.

პარიზში გამოვიდა ოფორტისტის ოდილონ რედონის დღიური: „საკუთარ თავს“ და „აღსარება“. წიგნში გაბნეულია მრავალი უძვირფასესი შენიშვნები მხატვრობაზე და მხატვრებზე.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲘ

დღეს რომ ევროპაში რომანი განიცდის დიდ კრიზისს ეს მტკიცდება იქედანაც, რომ სამმა დიდმა კრიტიკოსმა საფრანგეთში, ინგლისში და იტალიაში ერთ და იმავე დროს დასწერეს წერილები რომანის კრიზისსზე; საინტერესოა რომ ეს მწერლები შეხვდენ ერთმანეთს არა მარტო კრიზისის ანიშვნაში, არამედ ერთნაირად არკვევენ კრიზისის ხასიათსაც.

წერილში „ინგლისის რომანის მომავალი“ მიდლტონ მარრი „Atsepae“№ 1 ასე საზღვრავს ამ კრიზისს. მას შემდეგ რაც ინგლისის რომანი ეწეოდა ფაბულისადა მოთხრობის კულტურის ეფექტის მოხდენისთვის მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან დაუბრუნდა ფსიხოლოგიურ ანალიზსს.

მაგრამ აქ გარკვეულისთვის არ არის უკეთესი საშუალება გარდა თვით დაკვირვებისა და აქედან რომანის შეიქნა „ავტობიოგრაფიული“. ავტორი მხოლოდ იმას აწერს რაც თვითონ განიცადა. ასე იყო 1914 წლამდე. მაგრამ ამ გადატეხის შემდეგ მოთხრობა თავის საკუთარ თავზე შეიქნა უბრალო და წვრილმალი გარემოსთან შედარებით. საჭირო შეიქნა ახალი კონცეპციის მონახვა. ზოგიერთებმა ამოირჩიეს გზა იმავე თვით ანალიზის, მაგრამ უფრო გაღრმავებულის უშუალო შთაბეჭდილებით, რომელსაც იძლევა ცხოვრება (ჯოისი, მისს რიჩარდსონი). სხვებმა მონახეს ის გზა, რომელიც მოდის ბოდლერიდან, ცხოვრების უფრო ობიექტური შეგნება, სიძვოლების საშუალებით (მისს მანსფილდი). მაგრამ ეს გზა გამოჩნდა ძნელი და აქამდის არაფერი შეუქმნია შესაშნავი. და ასე მოხდა გაყოფა: ერთი რიგი მხატვრების ისახავენ დიდ მიზნებს და ვერ უმორჩილებენ მას სიუჟეტს, სხვებს აქვთ სიუჟეტი მაგრამ ესახურებიან უბრალო და წვრილ მიზნებს.

ფრანგი კრიტიკოსი მარსელი ბატიაია წერილში „თანამედროვე რომანი როგორც დეკორატიული სინტეზი ცხოვრების“ იკითხავს ვ. ჰიუგოს ფორმულას „ყველა რომანი შედგება თანაბარ ნაწილებიდან: მიხვედრის, დაკვირვების, და მოთხრობისა“ ამის შემდეგ როცა მოხდა რომანტიზმიდან გადასვლა რეალიზმზე „წარმოდგენით შეჰქმნა“ მოისპო დამთელი ადგილი დაიკავა „დაკვირვებამ“. შემდეგ ამანაც დაჰკარგა თავის ძალა და გადავიდა „სიმბოლოში“ დღეს ყველაფერი ეს ამოწურულია. ბატონობენ „ყოველ დღიურობის ქრონიკა“ ,რომანი თავგადასავალის, ფანტასტიური, უსევდო სანტიმენტალური და სხვ. ყველგან „უარყოფა დიდი მიზნების და სიბერწე“. აქაც იგივე,გაყოფა: იაფი ფაბულისტიკა უმიზნოთ და ან დიდი მიზანი და სიუჟეტის უმწეობა. მაშინ' როცა ამბობს ავტორი, რომანი უნდა იყოს „სამარადისო და ყოველთვის განახლებული ლირიკით და ხალხთა და ქვეყნის ცხოვრების დეკორაციულ სინტეზით“. ამასვე სწერს ლ. ტონელი წერილში "თანამედროვე იტალიანური რომანი" ყველგან გამარჯვებულია ბულვარის ფაბულა, მაშინ, როცა სერიოზულ ემბლემას არ შეუძლიან ბეჭნას რომანი საინტერესო სიუჟეტით. „სად არიან მემკვიდრენი: ვერგის, ფოგაცაროს და დ'ანუნციოსი“? მელანქოლიურად შენიშნავს ავტორი, და ასე ათავებს თავის წერილს „დელლედა და პნცინი დღესაც სწერენ, მაგრამ მათი ნაწერები უკვე დაძველებული არიან.

ᲠᲣᲑᲘᲙᲝᲜᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ.

თქვენი გაზეთის №11-ში მოთავსებულია ხელმოუწერელი წერილი „მოსე თოიძის სტუდიის გამოფენის“ შესახებ, რომლის ბოლოშიც უცნობი ავტორი ბრალსა სდებს საზოგადოთ მუზეუმების და კერძოდ „ეტნოგრაფიულუ მუზეუმის“ გამგეებს, ვითომც მათ ხელი არ მოემართოსთ მოსე თოიძისათვის და ვითომც ეს „უგულო ქართველები“ იმდენად გადაგვარებულიყონ, რომ „არავის არ აძლევდენ საშვალებას მუშაობისას“.

გთხოვთ განგვიმარტოთ: აქ მოხსენებული „ეტნოგრაფიული მუზეუმი“ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმია, თუ სხვა რომელიმე დაწესებულება, და თუ სწორედ ეს მუზეუმია, მაშინ გთხოვთ კეთილ ინებოთ და შეგვატყობინოთ: როდის და სახელდობრ ვის არ მისცა ჩვენი მუზეუმის გამგეობამ „საშვალება მუშაობისა“? ან კიდევ: როდის იყო, რომ მოსე თოიძემ მიმართა ჩვენ მუზეუმს თხოვნით: თქვენს შენობაში გამამართვინეთ სტუდიის გამოფენაო? ამასთანავე გთხოვთ ისიც ბრძანოთ: იცის თქვენმა რედაქციამ თუ არა, რომ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი“ სხვისს შენობაშია (უნივერსიტეტის ორად-ორ ოთახში) ეიწროდ მოთავსებული და რომ საკუთარი გამოფენებისთვისაც კი იგი იძულებულია ხოლმე სხვა შენობებს მიმართოს (როგორც მაგალითად ეროვნულ სამხატვრო გალერეიას)?

პასუხის მოლოდიოში დავშთები „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ მდივანი და მუზეუმის მცველი

ს. გორგაძე.

P. S. რედაქციის შენიშვნა.

„რუბიკონი“-ს რედაქცია აცხადებს, რომ მას მხედველობაში არ ყოლია ს. ს. ს. ს. მუზეუმი, ამის გაგება შეიძლება იმ წერილში. რაც შეეხება იმ ფაქტებს რომელსაც აღნიშნავს ბ—ნი სერგო გორგაძე რედაქციამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ რომ სხვისთვის არ შეიქნეს გაუგებარი ტფილისში და პროვინციაში ვბეჭდავთ ამ წერილს...

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა

სამმართველო

აცნობებს

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, კერძო პირებს და ცალ-ცალკე ბალების მეპატრონეთ,

რომელნიც დაინტერესებული არიან ხილისა და ბოსტნეულის გახმობაში, რომ მიმდინარე სეზონში ამიერ-კავკასიის ფარგლებში განზრახულია მოეწყოს

ხილისა და ბოსტნეულის გამხმოები

მატარებელის, ექსპლოატაცია რომელსაც ყოველგვარი საქარხნო მოწყობილობა ექნება ნედლი მასალის მექანიკურად გადამუშავებისათვის (ალუბალი, ჭერამი, უნაბი, ატამი, ვაშლი, კარტოფილი, სტაფილო და სხვა ხილი და ბოსტნეული) გამხმარ პროდუქტებში.

1) ნედლი მასალა შეიძლება ჩაბარებულ იქნეს გადამუშავების ღირებულების გადახდით, მაგრამ არა უმეტეს ერთი მანეთისა თვითეულ ფუთ გამხმარ პროდუქტებზე; იმ ხილისა და ბოსტნეულისათვის, რომელთა გასავალის პროცენტი დიდია, გადამუშავების ფასი შეიძლება თანაბრად შემცირებულ იქნეს.

2) გადამუშავების ფასი შეიძლება გადახდილ იქნეს თანაბარი ღირებულების ნედლი მასალით ან ნაწილობრივ ფულით და ნედლი მასალით.

3) შემკვეთლებს მთელი რიგი შეღავათებისა ეძლევათ ტარანსპორტიროვკისა, შენახვისა, რეალიზაციისა და ფრახტის გადახდაში, აგრეთვე ეძლევათ სესხი გადამუშავებულ პროდუქტის გირაოს ქვეშ.

4) ტარის შეძენის სიიაფესათვის, რომელიც დამზადებულ პროდუქტის ჩასაწერად არის საჭირო, ხილისა და ბოსტნეულის გამხმობი მატარებელი ყუთების დასამზადებლად ღებულობს შეკვეთებს კლიენტებისათვის ხელსაყრელ პირობებში. მატარებელი იღებს შეკვეთებს აგრეთვე მორისა და ფიცრების დასახერხავად, ხმელ საწყოების რემონტისათვის და ხორბლეულ პროდუქტების დასაფქველად; ყველა ეს სამუშაოები შესრულებული იქნება მატარებლის დამხმარე მოწყობილობის საშუალებით; ყველა იმათ, ვისაც სურს მატარებლით სარგებლობა, წინადადება ეძლევათ თავის დროზე შეიტანონ განცხადება, რადგან შეკვეთების შესრულება ხდება რიგის წესით და იმ რაიონების შეთანხმებით, სადაც მატარებელმა უნდა იმუშაოს.

ცნობებისათვის უნდა მიმართოთ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ საშსახურს (სადგურის ქ. № 1 მე-2 სართული, ოთახი № 57).

1—1

საქართველოს ტექნიკური საალმშენებლო ბიურო

სატესამგო

თავადი სამართველო: თბილისი, თავისუფლების მოედანი № 8 ტელ. 3—26, დეპეშის მისამართი—თფილისი, „სატესამგო“, განყოფილებანი: ბერლინში ბუხარაში,

ყველაფერი

ელექტროფიკაციისათვის

ელექტრონის დანადგარები, ტექნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.

საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტექნიკური მასალების დიდი რაოდენობა.

ს. მ. უ. ს.

ცენტრალური საკვაჭრო მმართველობა

განცხადება

ც. ს. გ. ყველა მაღაზიებში თამბაქოს ნაწარმოების

ფასები დაკლებულია

25 პროცენტიდან 40%

მიღებულია და იყიდება უნივერსალურ მაღაზიაში (სასახ. ქ. № 8) **დიდი რაოდენობა**

ფევიოლეტისა და ფალეულოგისა

ფასები ზომიერია იქვე იყიდება რუს. ტრესტის ჩითეულობა. **ფასები ზომიერია**

ბითუმათ იყიდება, საუკეთესო ხარისხის **ლუდი**

ყოფილი ვეტცელის ქარხნისა

ერთი ვედრის ფასი ბოჭკებში	. .	380
„ „ „ ბოთლები	. .	400

ოქროვნებში.

ც. ს. ს. ქარხნის ყინვა

(ბუშუკინის ქუჩა ყოფილ სემენარიის შენობაში).

მმართველობა.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მოძწყობი კომიტეტი

აცხადებს

საჯარო ვაჭრობას

სადგურის მოძრავი კომპრესორების და პერფორატორების მისაწოდებლად კლდეში სამუშაოდ, ამასთანავე მიწოდებაში შედის: 1) ორი მოძრავი კომპრესორის სადგური, თვითეულის მოქმედება უნდა იყოს დაახლოებით შესაქაჩავ ჰაერის 3 კბ. მეტრი წუთში და შეკუმშვითი წედდაწოლა 7 ატმოსფერა. სადგური უნდა შესდგებოდეს ნავთის მამოძრავებელისა და კომპრესორისაგან, რომელნიც შეერთებული უნდა იყონ საერთო კოტით და მოთავსებული რკინის ჩარჩოებზე საგორავებით და უნდა იყოს გამოსადეგი სოფლის შარა-გზებზე გადასატანად. 2) 8 პერფორატორი საბრუნავი ბურღით ქვიშიან ადგილებზე გასატარებლად. ბურღის წვეტის დიამეტრი უნდა იყოს. არა ნაკლებ 1 ნახევარ დიუმისა, გატარების სისწრაფე არა ნაკლები 170 მილიმეტრისა წუთში. 3) 20 კომპლექტი ჯავშნიანი შლანგებისა, 15 მეტრი სიგრძე თვითეული, წვეტით, დასამაგრებელი სანაგრიელით (хомут) 4) 8 კომპლექტი ფოლადის ბურღი, ამასთან თვითეულ კომპლექტში უნდა იყოს 3 ბურღი, ერთი სიგრძით 500 მილიმ., მეორე 1000 მილიმ. და მესამე—1500 მილიმ. 5) 2 კომპლექტი ინსტრუმენტი ბურღების ბოლოების შემოსაჭერად. 6) 1 ტონა სპეციალური საბურავი ფოლადი. წინადადებას თან უნდა დაერთოს ნახაზები და ვრცელი ტექნიკური აღწერილობა და აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს თვითეული საგნის წონა. მოძრავი სადგურების და ხელსაწყოების საფასურში უნდა შევიდეს სათადარიგო ნაწილების კომპლექტები. ფასები უნდა იყოს აღნიშნული ჩერმონცებში მუშაობის ადგილზე მიტანით (სად. ავჭალა, ზომო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მომწყობი კომიტეტის ჩიხი). მანქანის და მოწყობილებუს დადგმით და ამუშავებით. საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ ხელ-საწყოს ფასებში უნდა იქნას შეტანილი საბაჟო გადასახადი. წინადადებაში უნდა იქნეს აღნიშნული ფასის გადახდის პირობები და პირობის შეუსრულებლობისათვის ჯარიმა, თუ რომ ვადაზე არ იქნება ადგილზე მიტანილი და დადგმული მთელი განწყობილება. განცხადებები უნდა იქნას შეტანილი კომიტეტში (ველიამინოვის ქ. 3) ა. წ. 28 ივნისს არა უგვიანეს შუადღის 12 საათისა, დაპურულ კონვერტებში წარწერით: „პნევმატიურ მოწყობილებათა მისაწოდებლად გამოცხადებულ ვაჭრობისათვის“

461 2—1

ს. მ. უ. ს.

თამბაქოს ტრესტის პრეისკურანტი № 20

1923 წლის 5 ივნისი.

პაპიროსების სახელწოდება	ფასი (ჩერვონცებში) (კოლოფებში)	პაპიროსების სახელწოდება	ფასი (ჩერვონცებში) (ბაჩკებში)
პაპიროსები		**პაპიროსები**	
„ანგლისკიე“ — — — — — — —	1,0	„ეგიპეტსკიე“	
„სოვეტსკიე“ 1-ლი ქარხნის	0,9	„დელიკატეს“	0,66
„სოლიდნიე“		„ბუკეტ“	
„სოვეტსკიე“ მე-2 „		„ეძსტრა“	0,45
„ხან-კეფი“		„დარიალ“	
„ეგიპეტსკიე“	0,7	„როსკოშ“	
„დელიკატეს“		„მარს“ მე-2 ქარხნის — — — — —	0,38
„სოვეტსკიე“ მე-2 და მე-4 ქარხნის		„ზვეზდა“	0,35
№ 105 — — — — — — —	0,66	„ზარია“	
		„მარს“ მე-4 ქარხნის	
		№ 5 მე-8 „	

თამბაქოები:

უმაღლესი ხარისხის „სლონ“ — — — — — —	0,22 ჩერვონეცი
№ 52 სიფაროვის, „კეფ“ და ყირიმის „კომეტა“, გაოარჩეული „მირ“ —	0,21 „
„სამსონ“—ბოზარჯიანცის — — — — — — —	0,13 „
№ 52—სეილანოვის, № 120—ენფიანჯიანცის, № 103—სიფაროვის „ზირაკ“, „კომეტა“ და „სიერო“—ბოზარჯიანცის — — — —	0,15 „
„ნარდნია“—სეილანოვის, სიფაროვის და „კომეტა“, „საგანგებო“—ბოზარჯიანცის, „სამსუნ“, „მირ“ და „ზირაკ“—ენფიანჯიანცის — —	0,12 „
ასანთი—1,000 კოლოფი — — — — — — —	1,5 „
გილზები 40 კოლოფი — — — — — — —	1,15 „

შენიშვნა: 1. არა ნაკლებ 150 ათასი პაპიროსის და 150 გირვანქა ყველა ხარისხის თამბაქოების დაკვეთის ოროს დაწესებულია დაკლება 1 პროც.

2. თითეული ათასი ცალი პაპიროსის დაკვეთის დროს სავალდებულოა ერთი გირვანქა მეორე ან მესამე ხარისხის თამბაქოს წაღება.

ტრესტის ნაწარმოებზე ფასები დაკლებულია 20 პროცენტამდი

სამხედრო სტამბა ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3. გლავლიტი № 409 ტირაჟი 1000.